დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ-თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი

შეფასების თარიღ(ებ)ი 14.03.2022 – 15.03.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 13.04.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404378874

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N63
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N63

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საფოსტო ინდექსი	0162
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://deutscheschule.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@deutscheschule.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	2 29 31 00
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	გამგეობის თავმჯდომარე: საშა ტერნესი; გამგეობის წარმომადგენელი: ბარბარა ელიზაბეტ ვატენდორფი; დირექტორი: შტეფან დროლ.
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599916361
ელ-ფოსტა	leitung@deutscheschule.ge; vorstand@deutscheschule.ge; bdv@deutscheschule.ge.

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის 09/02/2022 MES 2 22 0000127670 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 14, 15 მარტი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ფიცხელაური
წევრი (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☐	☒
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	☒
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	გერმანულ სასკოლო სასწავლო გეგმაში შემოთავაზებული საფეხურეობრივი დაყოფა წინააღმდეგობაში მოდის კანონთან „ზოგადი განათლების შესახებ“
	1.4.	სკოლის შეფასების სისტემის თანახმად, მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანისას, „არადამაკმაყოფილებელი“ ნიშანი შეიძლება დაბალანსდეს სხვა სამ საგანში მიღებული „დამაკმაყოფილებელი“ ნიშნებით ან არ დაბალანსდეს (გააჩნია საგნების ჯგუფს) და მოსწავლეს არ მიეცეს შემდეგ კლასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		გადასვლის უფლება- წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონთან „ზოგადი განათლების შესახებ“ და საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
		მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ -სგან სრულად განსხვავებული- გერმანული შეფასების სისტემის მიხედვით, მათ შორის განმსაზღვრელი შეფასებით, სწავლების დაწყებით საფეხურზეც. პროგრამის დაუძლევლობის შემთხვევაში დაშვებულია კლასის განმეორება. საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა დაწყებით საფეხურზე მოსწავლის კლასში ჩატოვების უფლებას.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის თანამშრომლობის თაობაზე ურთიერთშეთანხმებიდან გამომდინარე, ასევე საქართველოში გერმანულენოვანი საერთაშორისო სკოლის არსებობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სკოლამ გააგრძელოს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობა გერმანულ საერთაშორისო სკოლასთან სწავლა-სწავლების პროცესის იმგვარად დაგეგმვასთან დაკავშირებით, რათა ის მაქსიმალურად იქნას შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობასთან და ეროვნულ კურიკულუმთან.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*3.2.*	მასწავლებელთან, რომელიც აღარ არის მაძიებელი გააფორმოს კანონის შესაბამისი ხელშეკრულება. არსებული მდგომარეობით მასწავლებელი, რადგან აღარ არის მაძიებელი, ვეღარ შეასრულებს მაძიებლისთვის განსაზღვრულ ვალდებულებებს.
	3.3.	შინაგანაწესში სკოლამ განსაზღვროს თანამშრომელთა დისციპლინური დევნის პირობები, უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და დისციპლინური სახდელის გამოყენების შემთხვევაში თუ ვის ექნება სახდელის გამოყენების უფლება.
	3.3.	საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს“ (ბრძანება N174/ნ), თანახმად ვაკანტური ადგილის შემთხვევაში სკოლამ ჯერ უნდა გამოაცხადოს შიდა კონკურსი და არ/ვერ შევსების შემთხვევაში უნდა გამოაცხადოს ღია კონკურსი.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა კულტურული დიალოგის გერმანულენოვანი სკოლაა, სადაც გერმანულენოვანი ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეები ქართველ და სხვა ეროვნების ბავშვებთან ერთად სწავლობენ და ცხოვრობენ. სკოლის მოსწავლეები გერმანიაში აღიარებულ სასკოლო განათლებას იღებენ, ამასთან საქართველოს კულტურასა და ქართულ ენას შეისწავლიან. სკოლაში ქართველი და სხვა ეროვნების მოსწავლეები გერმანულენოვან სასწავლო გარემოში გერმანულ ენასა და კულტურას ეცნობიან. სკოლაში ძირითად საგნებს გერმანელი პედაგოგები ასწავლიან. ამ მიზნით საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების მთავარი სამმართველო (ZfA) სკოლის დირექტორსა და პედაგოგებს გერმანიიდან მოავლენს. სკოლა გასცემს გერმანულ ატესტატებს, რაც გერმანულ სასკოლო სისტემაში შეუფერხებელი გადასვლის საშუალებას იძლევა. თორმეტი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მოსწავლეებს გერმანული საერთაშორისო გამოცდების (DIAP) ჩაბარება შეუძლიათ, რაც მათ გერმანიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში უმაღლესი განათლების მისაღებად უპირატესობას მიანიჭებს.

დაწესებულების მისია	**ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ მისია** სკოლის მისია წარმოადგენს სკოლის ღირებულებათა ერთიანობას, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს. სკოლის მისია უნდა დაგვეხმაროს მასში ჩამოყალიბებული საფუძვლების იმპლემენტირებაში. სკოლის მისია არის გზა, რომელსაც უნდა გაჰყვეს სკოლა იმისათვის, რომ საკუთარ მიზანს მიაღწიოს. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მისიაა: ✓ **თ**ანადგომა, ტოლერანტობა, ფასეულობების სწავლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	✓ ** გ**ერმანული ენა და კულტურათაშორისი დიალოგი ✓ **სწ**ავლება და სწავლა ინოვაციური მეთოდებით ✓ **ს**ოციალური კომპეტენცია და დამოუკიდებლობა **თანადგომა, ტოლერანტობა, ფასეულობების სწავლება** თბილისის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან. კულტურებისა და პიროვნული ხასიათების მრავალფეროვნებას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც სიმდიდრეს, რადგან ეს მრავალფეროვნება გვეხმარება ისეთი ღირებულებების გადაცემაში, როგორებიცაა პატივისცემა, ტოლერანტობა, ემპათია და განსხვავებული აზრის მიღების უნარი. თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში მოსწავლეები დემოკრატიულ პრინციპებთან შეხების პირველ გამოცდილებას იღებენ. ჩვენს სკოლაში არსებულ მოსწავლეთა თვითმმართველობაში მონაწილეობით სწავლობენ, რომ ისინი საჭირონი არიან და რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია. ასევე სწავლობენ ცოდნის მიღებაზე პასუხისმგებლობის აღებასა და სხვა ადამიანებთან კომუნიკაციას. **გერმანული ენა და კულტურათაშორისი დიალოგი** თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა კულტურული დიალოგის სკოლაა, სადაც გერმანელი და არაგერმანულენოვანი ბავშვები ერთად იღებენ განათლებას. ცოდნისა და კომპეტენციების გადაცემა ხორციელდება თიურინგიის ფედერალური მიწის სასწავლო გეგმით, მისი მიზანი საშუალო განათლების ატესტატისა და გერმანული საერთაშორისო აბიტურის გაცემაა (DIA). სასწავლო ენა არის გერმანული ენა. გერმანული სასწავლო მასალა და დამატებითი გაკვეთილები ემსახურება გერმანული ენის სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეწყობას. ტრადიციული დღესასწაულების ერთად აღნიშვნა გერმანულ და ქართულ კულტურებს ერთმანეთთან აახლოებს. **სწავლება და სწავლა ინოვაციური მეთოდებით** თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას, ამისთვის დამოუკიდებელი მოქმედებისთვის საჭირო სივრცეს ქმნის. პედაგოგიური საქმიანობის მიზანი გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეების ძლიერი მხარეების განვითარება და მათი ინდივიდუალური დახმარებაა. თანამედროვე სასწავლო გარემოში მოსწავლეები საგნობრივი კომპეტენციების შესწავლის პარალელურად მედიალურ და მეთოდურ უნარებსაც იძენენ. კომპეტენციის ტესტში მონაწილეობით, როგორიცაა, მაგალითად, თიურინგიის მიწის კომპეტენციის ტესტი, შესაძლებელია ჩვენი სკოლისა და გერმანიის სკოლების შედეგების შედარება. სხვადასხვა ეროვნების თანამშრომლები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას პროფესიული განვითარების სემინარებში სკოლის შიგნით და სკოლის გარეთ. მუდმივი კომუნიკაცია და კოლეგიალური დასწრებები ამაღლებს გაკვეთილების ხარისხს. პედაგოგიური ხარისხის მენეჯმენტის ფარგლებში მუდმივად ვითარდება პედაგოგიური კონცეპტი საგნისთვის - გერმანული ენა, როგორც უცხო ენა (DAF) და გერმანული ენა, როგორც სასწავლო ენა (DFU). მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არსებობს აქტიური უკუკავშირის კულტურა, რაც მოსწავლეების უნარ-ჩვევებს კიდევ უფრო ავითარებს. გამჭვირვალე წესები, ჩართულობა და ფსიქოლოგის დახმარება ქმნის მოსწავლეებისათვის კომფორტულ გარემოს. საბავშვო ბაღისა და სკოლის კავშირი ხელს უწყობს სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მრავალფეროვანი ნაშუადღევის პროგრამა - მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებასა და ახალი ინტერესების ჩამოყალიბებას. ცოდნის გადაცემა ხდება არა მხოლოდ სკოლაში, არამედ სკოლის გარეთაც: რეგულარული ექსკურსიები და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები მოსწავლეებს ეხმარება, განამტკიცონ მიღებული ცოდნა და ხელს უწყობს მოსწავლეების პერსონალური და სოციალური კომპეტენციების განვითარებას, ასევე ჯგუფის წევრების ურთიერთთანამშრომლობას. **სოციალური კომპეტენცია და დამოუკიდებლობა** თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მთავარი მიზანი მოსწავლის დამოუკიდებელ და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანად აღზრდაა, რომელსაც საკითხების კრიტიკული შეფასების უნარი ექნება. ამის წინაპირობა კი არის შემდეგი უნარ-ჩვევებისა და თვისებების ჩამოყალიბება: სოციალური კომპეტენცია, გუნდური მუშაობის უნარი, ინიციატივის გამოხატვის უნარი, განსხვავებული აზრის მიღების უნარი, თავისუფალი აზროვნებისა და კრიტიკული აზროვნების უნარი. ინდივიდუალური ძლიერი მხარეებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარება მოსწავლეს დაეხმარება, გახდეს მსოფლიო საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. თეორიული და ასევე პრაქტიკული ცოდნის გადაცემის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგნებშორის სწავლებას. სწავლის მოტივაციის ამაღლებასა და მუდმივი განვითარებისთვის მზაობას ხელს უწყობს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, გასაკუთრებით თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის (2021 წლის 16-17 თებერვალი) შედეგად გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები: **1. სკოლაში ქართული ენა ისწავლებოდა მხოლოდ ქართულენოვანი მოსწავლეებისთვის, რითაც ირღვეოდა საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლები:** ➢ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა. ➢ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა) **<u>რეავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 14-15 მარტი) -ხარვეზი გამოსწორებულია</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ: თბილისის გერმანულის საერთაშორისო სკოლაში სწავლება თიურინგიის ფედერალური მიწის სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა. განსხვავებული იყო სწავლების საფეხურებრივი დაყოფა. დაწყებითი სკოლა მოიცავდა I-IVკლასებს; გიმნაზია საბაზო (V-X კლასებს) და საშუალო (XI-XII კლასებს) საფეხურებს. არ შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას სკოლის შეფასების სისტემაც. კერძოდ, მოსწავლეები ნიშნებით ფასდებოდნენ III კლასიდან, ბარიერის დაუძლევლობის შემთხვევაში, დასაშვები იყო კლასის გამეორება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვისაც. მაშინ, როცა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. **<u>რეავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 14-15 მარტი) -ხარვეზი არ არის გამოსწორებული.</u>** **3. უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეები, რომელთა სწავლის აღიარების უფლებასაც ვერ მოიპოვებდა სკოლა, ისე სწავლობდნენ / ასრულებდნენ სწავლას სკოლაში, რომ მათი ჩარიცხვა/ამორიცხვისას არანაირი ბრძანება არ იწერებოდა.** **<u>რეავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 14-15 მარტი) -ხარვეზი გამოსწორებულია.</u>** სკოლამ წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ მოსწავლეთა მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ჩარიცხვის ბრძანებები. **4. სკოლას არ ჰქონდა შეთანხმებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>რეავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 14-15 მარტი) -ხარვეზი გამოსწორებულია.</u> **5. სკოლაში ასწავლიდა 25 მასწავლებელი, საიდანაც 9 მასწავლებელი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოგზავნილი, აღნიშნული მასწავლებლები არ იყვნენ** მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული და შესაბამისად არ/ვერ ახორციელებდნენ სქემით განსაზღვრული აქტივობებს. <u>რეავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 14-15 მარტი) -ხარვეზი არ არის გამოსწორებული.</u>

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ გამგეობის წარმომადგენლის მიერ 2021 წლის 15 ივლისს , ბრძანება № 2021- 07/026. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან: • სკოლის მისია; • სკოლის მიზნები და ამოცანები; • 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი; • შეფასების სისტემა; • საათობრივი ბადე; • დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები; • სახელმძღვანელოების ნუსხა; • ინკლუზიური განათლების პროგრამა; • დისტანციური სწავლების ორგანიზების გეგმა; • დღის რეჟიმი; • განსხვავებული საგნების აღწერილობა; • საგნობრივი კათედრები. <u>გეგმა წარმოდგენილია ცალცალკე ნაწილებად, რაც არ იძლევა მისი ერთიანობაში აღქმის საშუალებას.</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის, 2010 წლის 16 აგვისტოს, ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ დაფუძნებისა და საქმიანობის მიზნით, გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, სკოლაში სწავლა მიმდინარეობს გერმანულ ენაზე, საზღვარგარეთ გერმანული სკოლების ცენტრალური სამმართველოს მიერ ცენტრალური ევროპის სკოლებისთვის შემუშავებული თიურინგიის კურიკულუმის მიხედვით. სწავლების ენიდან გამომდინარე გამოიყენება გერმანიის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო. აღნიშნული საკითხი სკოლას შეთანხმებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. უცხოური ენებიდან სკოლაში ისწავლება ინგლისური და ფრანგული. სახელმწიფო - ქართული ენის სწავლება სავალდებულოა, როგორც საქართველოს , ისე უცხოეთის მოქალაქეებისთვის. **ესგ-ს მოთხოვნებისგან განსხვავებულია** ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ **სწავლების საფეხურებრივი დაყოფა.** დაწყებითი სკოლა მოიცავს I-IVკლასებს; საბაზო (V-X კლასებს) და საშუალო (XI-XII კლასებს). შესაბამისად განსხვავებულია საფეხურის მიზნები და ამოცანები. გერმანულ სასკოლო სასწავლო გეგმაში შემოთავაზებული საფეხურეობრივი დაყოფა წინააღმდეგობაში მოდის კანონთან „ზოგადი განათლების შესახებ“. ასევე მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანისას, „არადამაკმაყოფილებელი“ ნიშანი შეიძლება დაბალანსდეს სხვა სამ საგანში მიღებული „დამაკმაყოფილებელი“ ნიშნებით ან არ დაბალანსდეს (გააჩნია საგნების ჯგუფს) და მოსწავლეს არ მიეცეს შემდეგ კლასში გადასვლის უფლება, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონთან „ზოგადი განათლების შესახებ“ და საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში საათობრივი ბადის შესაბამისად ისწავლება ყველა საგნობრივი ჯგუფის საგანი. რიგი საგნების დასახელებები არ ემთხვევა ესგ-ით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებს, თუმცა სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის საგნობრივ ექსპერტთა მოსაზრებით, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში საგნობრივი სტანდარტები ორიენტირებულია არა ცალკეულ საკითხებზე, არამედ გრძელვადიან საფეხურებრივ მიზნებზე, საგნების განსხვავებული დასახელებები, საათობრივი ბადე და წლიური განრიგი არ ქმნის პრობლემას. თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებლის საქმიანობა ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ესენია: კლასის მართვა; ადმინისტრაციული მოვალეობები; მშობლებთან თანამშრომლობა; საგნის პედაგოგებთან და დირექციასთან თანამშრომლობა. სადამრიგებლო საათი პირველ-მეოთხე კლასებში ტარდება კვირაში ერთხელ. ხოლო 5-12 კლასებში ტარდება „ეთიკის“ გაკვეთილის მიმდინარეობისას (თუ დამრიგებელი არ ასწავლის ეთიკას, სადამრგებლო საათი ტარდება მისი გაკვეთილის ფარგლებში, დირექტორთან შეთანხმებით). სადამრიგებლო საათის ჩატარებისას 3-12 კლასებში ხდება „კლასის საბჭოს“ სხდომის ორგანიზება. აღნიშნული წარიმართება თვეში ორჯერ, ყოველი თვის პირველ და მესამე კვირაში, 45 წუთის განმავლობაში. სკოლას შემუშავებული აქვს „კლასის საბჭოს“ ორგანიზების დეტალური გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობენ დამრიგებლები და მოსწავლეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების ორგანიზების გეგმა. ონლაინ სწავლებას სკოლა წარმართავს ელექტრონული პლატფორმის Zoom-ის გამოყენებით,რომელშიც შექმნილი აქვს ჯგუფები თითოეული კლასისთვის. გარდა ამისა, სკოლა იყენებს Moodly-ის რომელშიც ხორციელდება კომუნიკაცია მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლას შორის და დოკუმენტაციის/ფაილების გაზიარება, დავალებების ატვირთვა და ა. შ. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებით და პროცესის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ , რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, მიზნებიდან/ამოცანებიდან და ემსახურება მათ შესრულებას, თუმცა რიგ საკითხებში (საფეხურეობრივი დაყოფა, შეფასების პრინციპები) არ არის შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის, 2010 წლის 16 აგვისტოს, ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ დაფუძნებისა და საქმიანობის მიზნით, გაფორმებული ერთობლივი განცხადება განზრახვის შესახებ; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 30 მარტის MES 4 21 0000302434 წერილი. • ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • დამრიგებლის საქაღალდეები; • ინტერვიურება.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დებულების შესაბამისად ფუნქციონირებს 6 კათედრა, რომელშიც გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფის ყველა მასწავლებელი. 1. მათემატიკის კათედრა; 2. გერმანული ენის კათედრა; 3. ენების კათედრა; 4. საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა; 5. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; 6. ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა საგნობრივი კათედრების ფუნქციებია: ა) საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება; ბ) საგნობრივ კათედრაში შემავალი საგნებისათვის შეფასების სისტემის განსაზღვრა; გ) საგნობრივი პროგრამების (სასწავლო კურიკულუმი) განხილვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა; დ) საგაკვეთილო პროცესისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა; ე) სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ. ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.); ვ) რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.; ზ) საკონტროლო სამუშაოების ანალიზი; თ) საფეხურებისა და საგნების შესაბამისად არჩევენ სახელმძღვანელოების ნუსხას; ი) კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო თემატური გეგმები საგნებისა და საფეხურების მიხედვით, სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმები და ჩატარებული სამუშაოს ანგარიშები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნები და დამატებითი საგანმანთლებლო მომსახურება (კლუბები, წრეები...) მოსწავლეებს აძლევს საშუალებას მიიღონ ინტერესის შესაბამისი განათლება. სასკოლო საზოგადოების აზრით სკოლის მთავარი მიზანი მოსწავლის დამოუკიდებელ და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანად აღზრდაა, რომელსაც საკითხების კრიტიკული შეფასების უნარი ექნება. თეორიული და ასევე პრაქტიკული ცოდნის გადაცემის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგნებსშორის სწავლებას. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ,,სხვა აკადემიურ აქტივობებს“. აღნიშნული წარმოადგენს გაკვეთილზე წერილობითი, ზეპირი და პრაქტიკული აქტივობების ერთობლიობის ხარისხს, რაოდენობასა და უწყვეტობას. სხვა აკადემიურ აქტივობებში აისახება მოსწავლის კომპეტენციის განვითარების დონე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, როგორც მასზე უწყვეტი დაკვირვების (კომპეტენციის განვითარების პროცესი), ისე შერჩევითი შემოწმების (კომპეტენციის განვითარების დონე) შედეგად. შეფასებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესრულება მოსწავლის მიერ, არამედ მისი ინდივიდუალური პროგრესი. საგანში მიღწეული შედეგის შეფასების ობიექტურობა იზრდება მოსწავლის ასაკთან ერთად. ვიზიტის პერიოდში დაკვირვებებით, ასევე მოსწავლეებთან , მოსწავლეთა მშობლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა რომ მოსწავლეებმა, როგორც დასწრებითი, ისე დისტანციური სწავლების დროს შეფერხების გარეშე მიიღეს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები, თუმცა სკოლას სურვილი აქვს კიდევ უფრო გაძლიერდეს ტექნოლოგიებისა და დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით, რაც გაუმარტივებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაძლებლობებს მოსწავლეებს და პედაგოგებს უპასუხონ 21-ე საუკუნის გამოწვევებს;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • სკოლის დებულება; • საგნობრივი პროგრამები; • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები ცდილობენ თითოეულ მოსწავლეს შეუქმნან თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. სკოლა მიზნად ისახავს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, თანატოლებთან სწავლის თანაბარი შესაძლებლობის მიცემას, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, ასევე ტიპური განვითარების მოსწავლეებისათვის. ბავშვები, რომელთაც უჭირთ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა, იღებენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. ტარდება დამატებითი მეცადინეობები. სკოლაში ეფექტურად ფუნქციონირებს ფსიქოლოგის სამსახური. სასკოლო სასწავლო გეგმით, დამრიგებლების სამოქმედო გეგმებით, სკოლის აღსაზრდელების მშობლებთან გასაუბრებით, სასკოლო და სკოლის გარე აქტივობებით დგინდება, რომ მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ამჟამად არ სწავლობს სსსმ მოსწავლე, ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევისათვის თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლა გამოთქვამს მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს აღნიშნული მომსახურება, შექმნას ინკლუზიური განათლების მართვის ჯგუფი. ჯგუფის წევრები საჭიროების შემთხვევაში შეიკრიბებიან, იმსჯელებენ და გადაწყვეტილებებს მიიღებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ ინკლუზიური განათლების კონცეფცია. • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლისთვის დოკუმენტი - შეფასების სისტემა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მასთან ერთად მტკიცდება, ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში,“ გამოიყენება გერმანიის ფედერალური მიწების კულტურისა და განათლების მინისტრთა საბჭოს (KMK) მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დადგენილი შეფასების სისტემა. აღნიშნული სისტემის მიხედვით, მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული 6 საფეხურიანი შეფასების სისტემა მოქმედებს. საწყის ფაზაზე (სწავლის პირველი ორი წელი) გამოიყენება მხოლოდ ზეპირი/განმავითარებელი შეფასება. შეფასებისადმი წაყენებული მოთხოვნები ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტებითა და დამამთავრებელი გამოცდის ერთიანი მოთხოვნებით (EPA) განისაზღვრება. სკოლაში არსებობს შეფასების შემდეგი სახეობები: სემესტრული მოწმობა, წლიური შეფასების ცნობა, ასევე ცნობა „მოისმინა“ და ატესტატი. მოწმობაში მითითებული უნდა იყოს სკოლის ტიპი (Grundschule, საორიენტაციო საფეხური- Orientierungsstufe, Hauptschule, Realschule, გიმნაზია). სერტიფიკატი „მოისმინა“ გაიცემა მოსწავლეზე, რომელმაც სკოლა ატესტატის გარეშე დატოვა. Hauptschule (ჰაუპტშულე) ატესტატს ღებულობენ მოსწავლეები რომლებმაც წარმატებით გაიარეს 9 კლასი. Realschule (რეალშულე) ატესტატს ღებულობენ მოსწავლეები რომლებმაც წარმატებით გაიარეს 10 კლასი. ამ ატესტატს უთანაბრდება გიმნაზიის მეათე კლასის დამამთავრებელი მოწმობა (საშუალო განათლების ატესტატი). <u>სკოლის შეფასების სისტემის მიხედვით ზოგადი შეფასება, ნიშნები იწერება სამუშაო ან სოციალურ ქცევაშიც.</u> „ძალიან კარგი“ (1) - ნიშანი „ძალიან კარგი“ იწერება, თუ მოსწავლის სამუშაო ან სოციალური ქცევა ზედმიწევნით აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს და განსაკუთრებულ აღიარებას იმსახურებს; „კარგი“ (2) - ნიშანი „კარგი“ იწერება, თუ მოსწავლის სამუშაო ან სოციალური ქცევა სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	„დამაკმაყოფილებელი“ (3) - ნიშანი „დამაკმაყოფილებელი“ იწერება, თუ მოსწავლის სამუშაო ან სოციალური ქცევა აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს მცირე ხარვეზებით; „საკმარისი“ (4) - ნიშანი „საკმარისი“ იწერება, თუ მოსწავლის სამუშაო ან სოციალური ქცევა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. XI-XII კლასებში თითოეულ საგანში მოსწავლეთა შეფასება ხდება ქულებით 0-დან 15-ის ჩათვლით; სკოლას შეფასების წესში განსაზღვრული აქვს საკლასო და საშინაო სამუშაოებისათვის მოსწავლეთა სარეკომენდაციო დატვირთვა საგნების მიხედვით. ინტერვიურებით დგინდება, რომ მოსწავლის მოსწრებასა და კომპეტენციების განვითარებაზე დაკვირვება ხდება თითოეული მასწავლებლის მიერ სპეციალური მეთოდებით. პედაგოგები აწარმოებენ ყოველდღიურ ჩანაწერებს. მოსწავლის შედეგების, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ შეჯერებულ ინფორმაციას აწვდიან კლასის დამრიგებელს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოყოფილია წელიწადში 2 დღე, როდესაც მოსწავლე, მშობელი, დამრიგებელი და სკოლის ფსიქოლოგი ერთობლივ შეხვედრაზე განიხილავენ მოსწავლის სწავლის შედეგებსა და საჭიროებებს. <u>სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ -სგან სრულად განსხვავებული- გერმანული შეფასების სისტემის მიხედვით, მათ შორის განმსაზღვრელი შეფასებით, სწავლების დაწყებით საფეხურზეც. პროგრამის დაუძლეველობის შემთხვევაში დაშვებულია კლასის განმეორება. საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა დაწყებით საფეხურზე მოსწავლის კლასში ჩატოვების უფლებას.</u> განმსაზღვრელი შეფასებისას სკოლა იყენებს ქულათა სისტემას, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებულია, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განმსაზღვრელი შეფასებისას გამოყენებული ქულების კონვერტაცია არ ქმნის პრობლემას და აღნიშნულ საკითხზე არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა. კონვერტირების წესის თანახმად 1 ,,ძალიან კარგი" შეესაბამება 9,10 ქულას , ხოლო 6 ,,არასაკმარისი" -1 ქულას. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დადგენის კონცეფცია, რომლის დადგენის საფუძველს წარმოადგენს საკონტროლო სამუშაოებში, საშინაო დავალებასა (შეფასების არსებობისას) და სხვა აკადემიურ აქტივობებში (მიმდინარე ნიშნებში) მიღებული ნიშნები. **საკონტროლო სამუშაოები** - იძლევა ინფორმაციას გაკვეთილის წარმატების, კლასისა და ცალკეული მოსწავლის ცოდნის დონის შესახებ. ამიტომ ისინი, როგორც წესი, იწერება კონკრეტული თემის ან თემების გავლის შემდეგ. **საშინაო დავლებები** - არ ხდება მოსწავლის შეფასება ნიშნებით. საშინაო დავალებები აუცილებელია გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად, მოსწავლეების მიერ შეძენილი უნარ-ჩვევების განსავითარებლად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის წასახალისებლად. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, საშინაო დავალებების ნიშნით შეფასება მოსწავლის წინასწარი გაფრთხილების შემდეგ. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის გაცნობით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სტანდარტის შესაბამისი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების კრიტერიუმები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, თუმცა სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემის ნაწილი არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 30 მარტის MES 4 21 0000302434 წერილი. • ინტერვიურება.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების, მშობელთან ურთიერთობისა და მშობელთა საბჭოს შესახებ დებულება; სკოლის მოსაზრებით, იმისათვის, რომ მასწავლებელსა და მშობელს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია შედგეს, პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი მასწავლებელმა უნდა გადადგას. მასწავლებელი ის შუალედური რგოლია, რომელიც სკოლას და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კლასის დამრიგებლები გეგმიურ შეხვედრებს მართავენ მშობლებთან. შეხვედრების მიზანია მშობელთა ინფორმირება შვილების აკადემიური მოსწრების თაობაზე. შეხვედრების განრიგის თაობაზე შეტყობინებას მშობლები იღებენ ელ. ფოსტით. ამ შეხვედრების პარალელურად მშობლებს საშუალება აქვთ ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ საგნის მასწავლებელს სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ელ. ფოსტის მეშვეობით და შეუთანხმდნენ შეხვედრაზე. სკოლაში ყოველწლიურად ირჩევენ კლასის მშობელთა 2 წარმომადგენელს, რომლებიც არინ მშობელთა საბჭოს წევრები. მშობელთა საბჭოს წევრები თავის მხრივ ირჩევენ მშობელთა საბჭოს თავმჯდომარეს და მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოადგილეს ორი წლის ვადით. მშობელთა საბჭოს წევრები წარმოადგენენ სკოლის დირექციისა და გამგეობის წინაშე მშობელთა მოთხოვნებს და სურვილებს. მშობელთა კომიტეტის დებულების მიხედვით, მათი ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში არის სკოლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის. სკოლის მშობელთა საბჭო მონაწილეობს სკოლის ზოგადი მნიშვნელობის მქონე საკითხების განხილვაში, იცავს მშობლების ინტერესებს მოსწავლეთა განათლებასთან და აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განიხილავს მშობლების სურვილებს, ინიციატივებსა და წინადადებებს და წარუდგენს მათ სკოლის ადმინისტრაციას/დირექციას. ინტერვიურების პროცესში მშობლებმა ისაუბრეს მათი ინიციატივით ჩატარებული სასკოლო კვლევების, გამოკვეთილი საჭიროებებისა და მათი და სკოლის მხრიდან დაგეგმილი ინტერვენციების შესახებ. სკოლა სასკოლო საზოგადოების წევრებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს Moodly-ის პროგრამას. აღნიშნული პროგრამა კარგ შესაძლებლობას აძლევს ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს მარტივად აწარმოონ დისტანციური კავშირი ერთმანეთთან. ატვირთონ/გააზიარონ/გაეცნონ ყველა საჭირო დოკუმენტსა თუ ფაილს. გარდა ზემოაღნიშნული ელექტრონული პლატფორმისა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება: ▪ მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით); ▪ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ▪ ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შენობაში დაშვება წინასწარი (წერილობით ან სატელეფონო) შეთანხმების შემთხვევაში. გარდა ამისა, მშობლებთან ურთიერთობაში დიდი როლი უჭირავს კლასის დამრიგებელს, რომელსაც ევალება მათთვის კომუნიკაციის დამყარება, ინფორმაციის მიწოდება სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემის თაობაზე და შეხვედრების ორგანიზება აღმზრდელობით, აკადემიური მიღწევის, სასკოლო კარიერის, ინდივიდუალური გეგმისა და სხვა საკითხების განხილვებისათვის; მშობლებთან, პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიურების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების, მშობელთან ურთიერთობისა და მშობელთა საბჭოს შესახებ დებულება; • ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ შინაგანაწესი; • Moodly-ის პროგრამა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დანერგილია ორი (შიდა და გარე) შეფასება. სკოლის განმარტებით გარე ხარისხის კონტროლი ხორციელდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	1. ფედერალური სახელმწიფო ინსპექციის (BLI) მიერ განხორციელებული მონიტორინგით, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენით. გარდა ამისა, ფედერალური სახელმწიფო ინსპექცია (BLI) პერიოდულად ახორციელებს შუალედურ ვიზიტებს ე.წ. Bilanzbesuch, რომელიც ასევე ამოწმებს მიღწეულ იქნა თუ არა სკოლის მიერ დასახული მიზნები. BLI გეგმიურ მონიტორინგამდე ერთი წლით ადრე ხორციელდება Peer-Review ამავე რეგიონის ერთ-ერთი საზღვარგარეთ არსებული სკოლის წარმომადგენლების ვიზიტი და მისი მეშვეობით ხდება სკოლის წინარე შეფასება. **2.** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგი, ასევე, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა. შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. P – D – C – A ხარისხის მართვისა და კონტროლის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი ზრუნავს სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის განსაზღვრაზე, შიდა მონიტორინგზე და განვითარებაზე. ხარისხის განვითარების მიზნით, იგი შეისწავლის საჭიროებებს, საზღვარგარეთ არსებული ქვეყნების განათლების ხარისხის ჩარჩოზე დაყრდნობით, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, მონაწილეობას იღებს სკოლის განვითარებისთვის სხვადასხვა სახის აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვაში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს: სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლი და მისი გაუმჯობესება; მასწავლებელთა განმავითარებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასება; გაკვეთილებზე დასწრება - კოლეგების ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე და შემდგომი საკონსულტაციო საუბარი გაკვეთილის შეფასების კითხვარის მიხედვით (გერმანული შეფასების/დაკვირვების კითხვარი, რომელიც იცვლება დაკვირვების მიზნიდან გამომდინარე Beobachtungsbogen) მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; სასწავლო პროგრამების შესწავლა, დახვეწა; ფედერალური სახელმწიფო ინსპექციის (BLI) მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიცემული რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა; სპეციალური სამუშაო ჯგუფების (მაგ. დიფერენცირების, დიგიტალიზაციის, მედიასაშუალებების და ა.შ) შექმნა; მშობელთა საბჭოსთან ერთად სხვადასხვა კვლევების ორგანიზება და ანალიზი; გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების დასხვა და მისი შესრულების მონიტორინგი და ა შ. ინტერვიურებით და მტკიცებულებების გაცნობით დასტურდება , რომ სკოლაში დანერგილია: სასკოლო საზოგადოების მიზნობრივი ანკეტირება/გამოკითხვები; მოსწავლეთა მოსწრების პერიოდული მონიტორინგი; თანამშრომელთა საბჭოს ინიციატივების განხილვა; გაკვეთილებზე ფოკუსირებული დაკვირვებები; მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია პერიოდულად აანალიზებენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და შეიმუშავებენ ცალკეული კლასის/მოსწავლის საჭიროებებზე რეაგირების ფორმებს (დამატებითი საათები, დამატებითი რესურსების გამოყოფა, მშობლებთან მუშაობა და ა.შ); საგნობრივი სწავლების ანალიზისა და კლასების მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდება ძლიერი და სუსტი მხარეები. შემდგომ ეს შედეგები დეტალურად განიხილება და ანალიზიდან გამომდინარე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად ისახება განსახორციელებელი ღონისძიებები. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის დირექტორი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში მშობლებს და სასკოლო საზოგადოების წევრებს წარუდგინოს ანგარიში რა შესრულდა დასახული სამოქმედო გეგმით. შესწავლილი დოკუმენტაციითა და ინტერვიურებით დასტურდება, რომ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგსა და მათ მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებასა და განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგებით; • გაკვეთილზე დასწრების შეფასებებით; • სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგებით.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის თანამშრომლობის თაობაზე ურთიერთშეთანხმებიდან გამომდინარე, ასევე საქართველოში გერმანულენოვანი საერთაშორისო სკოლის არსებობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სკოლამ გააგრძელოს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტთან თანამშრომლობა გერმანულ საერთაშორისო სკოლასთან სწავლა-სწავლების პროცესის იმგვარად დაგეგმვასთან დაკავშირებით, რათა ის მაქსიმალურად იქნას შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობასთან და ეროვნულ კურიკულუმთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	• სასურველია სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმა აწარმოოს ერთიანი დოკუმენტის სახით, რაც გაამარტივებს მისი მთლიანობაში აღქმის საშუალებას.
ხარვეზები:	• სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში შემოთავაზებული საფეხურეობრივი დაყოფა წინააღმდეგობაში მოდის კანონთან „ზოგადი განათლების შესახებ“. • მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანისას, „არადამაკმაყოფილებელი“ ნიშანი შეიძლება დაბალანსდეს სხვა სამ საგანში მიღებული „დამაკმაყოფილებელი“ ნიშნებით ან არ დაბალანსდეს (გააჩნია საგნების ჯგუფს) და მოსწავლეს არ მიეცეს შემდეგ კლასში გადასვლის უფლება, (მათ შორის დაწყებით საფეხურზე) რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონთან „ზოგადი განათლების შესახებ“ და საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის (ს/კ 404378874) (შემდგომში - სკოლა), მდებარეობს მისამართზე ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №63. აღნიშნულ მისამართზე, სკოლის საკუთრებაშია შენობა ნაგებობები, რომელთა ჩამონათვალი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ასე გამოიყურება: **N1, N2, N3, N4 - საერთო ფართით 3642.40 კვ.მ..** (საოფისე ფართი 183.10 კვ.მ., საზაფხულო ფართი 67.30 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი 118.60 კვ.მ., სასწავლო აუდიტორიის ფართი 1095.50 კვ.მ., სასაწყობე ფართი 357.0 კვ.მ., დამხმარე ფართი 1820.90 კვ.მ..) **N5 და N6 საერთო ფართობით 1094.1 კვ.მ..** (მათ შორის: საოფისე ფართობი 177.2 კვ.მ.; საზაფხულო ფართობი 39.6 კვ.მ.. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 39.6 კვ.მ.; დამხმარე ფართობი 367.1 კვ.მ..) **N7 (მშენებარე) საერთო ფართობი 1276.2 კვ.მ..** (მათ შორის: საოფისე ფართობი 35.1 კვ.მ.; საზაფხულო ფართობი 352.5 კვ.მ.; სასაწყობე ფართობი 129.3 კვ.მ.; დამხმარე ფართობი 185.1 კვ.მ.; სპორტული მოედნის ფართობი 574.2 კვ.მ..) ამ შენობებიდან N3 საბავშვო ბაღია და მისი ფართობი 412 კვ.მ.-ია, N7, რომელიც მშენებარეა - სპორტული დარბაზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იქნება, N4 დამხმარე ფართია. (დაახლოებით 32 კვ.მ.) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს N1, N2, N5 და N6 შენობებში, რომელთა საერთო ფართობი, აღნიშნულის გათვალისწინებით დარჩება 4592,5 კვ.მ.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №63
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.14.06.007.067
კვ.მ.	სასწავლო შენობა-ნაგებობის-**4592.5** სულ N7 მშენებარეს ჩათვლით 6012.7
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • საკადასტრო გეგმა • შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ „გერმანული საერთაშორისო სკოლის“ შენობა-ნაგებობაში, ავტორიზაციის ვიზიტისას, არსებულ ოთახებიდან 26 იყო საკლასო ოთახი, 1 მუსიკის და 1 ხელოვნების კაბინეტი, 1 მოქმედი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია-კლასი და 1 სივრცე, სადაც იგეგმება მოაწყონ ლაბორატორია. გარდა ამისა შენობაში არის სამასწავლებლო, ფსიქოლოგის, ექიმის კაბინეტის (სამომავლოდ) დანიშნულების და ადმინისტრაციული ოთახები. საკლასო ოთახებში, დერეფნებში და სკოლის საწყობში არის 358 ერთეული, ასაკის შესაბამისი მერხი. მერხები ძირითადად ერთადგილიანია, თუმცა არის ორადგილიანებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკლასო ოთახები, გარდა მერხებისა, აღჭურვილია დაფებით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, კარადებით. მათგან უმეტესობაში დამონტაჟებულია პროექტორები. საკლასო ოთახების შესასვლელებთან განლაგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური თუნუქის კარადები, ე.წ. „ლოკერები“. სკოლას აქვს ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც გერმანულ ენაზეა წარმოდგენილი და დოკუმენტაციაში ხელით მონიშნულია და ქართულად მიწერილია შესაბამისი ინვენტარის ქართული დასახელება (მაგ. „მერხი“, „მოსწ. სკამი“ და ა.შ.) ამ მინაწერებზე დაყრდნობით დასტურდება შესაბამისი რაოდენობების ინვენტარი. შემდგომში ნახსენები შესყიდვის დოკუმენტებიც ძირითადად გერმანულენოვანია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ინვენტარის შესყიდვისა დოკუმენტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, ხელოვნურსაფარიანი, ტრიბუნებით. მის მიმდებარედ აშენებულია და დასრულების პროცესშია სპორტული დარბაზი, რომელი შენობაც საჯარო რეესტრის ამონაწერში აღნიშნულია N7 შენობად. სკოლას აქვს ჩოგბურთის მაგიდები 7 ერთეული, მისი შესაბამისი ჩოგნებით, ასევე სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ბურთები, ჰულაჰუპები და სხვა სპორტული ინვენტარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ერთი მოქმედი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაა მოწყობილი. ლაბორატორიაში არის ნიჟარები ონკანებით, ლაბორატორიული მაგიდები, კარადები ლაბორატორიული აღჭურვილობებით. ამასთან ერთად, სკოლას დაწყებული აქვს მეორე უფრო კეთილმოწყობილი ლაბორატორიის დამატება უფრო დიდ სივრცეში. ამ სივრცეში შეტანილია და დასამონტაჟებელია ლაბორატორიული მაგიდები ნიჟარებით, დასამონტაჟებელია სადემონსტრაციო კარადა გამწოვით. დამატებით შეტანილია ლაბორატორიული აღჭურვილობის კომპლექტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისა დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ფართო ფანჯრები საკლასო ოთახებს უზრუნველყოფს კარგი ბუნებრივი განათებით. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის ქვაბით. ელექტროენერგია, გაზი და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს. სკოლაში ყველა სართულზე და ყველა ფლიგელში კეთილმოწყობილია სველი წერტილები, მათ შორის თანამშრომლებისთვის და სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლისთვის ცალკე. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და კოვიდრეგულაციების ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ „ გერმანული საერთაშორისო სკოლის“ პირველ სართულზე დერეფანში მოწყობილია ღია საბიბლიოთეკო სივრცე. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკაში არის ორი კომპიუტერი. სკოლას შეძენილი აქვს პროგრამა PS-BIBLIO. პროგრამა წარმოადგენს წიგნების ავტომატური რეგისტრაციის, მკითხველთა რაგისტრაციის, წიგნების მიღებისა და დაბრუნების ავტომატურად აღრიცხვის და სხვა საბიბლიოთეკო საქმისთვის საჭირო უნარების მქონე ელექტრონულ პროგრამულ უზრუნველყოფას. პროგრამაში აღრიცხულია 3548 ეგზემპლარი მხოლოდ მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. მათ შორის არაა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო სახელმძღვანელოები. ეს ფაქტი სკოლამ ახსნა იმით, რომ სკოლა თავის ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს სასწავლო სახელმძღვანელოებით და ამიტომ ბიბლიოთეკაში მათი არსებობა არასავალდებულოა. ამ სივრცის გარდა სკოლას აქვს სასწავლო რესურსის მიზნით გამოყოფილი, გერმანულენოვანი ლიტერატურა, რომელიც განთავსებულია ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ორ ოთახში. ეს რესურსები არ არის აღრიცხული საბიბლიოთეკო ფონდში და მისი გაცემა ხდება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლეების მიერ მოსწავლეებისთვის, საჭიროების მიხედვით. მათ გაცემა/დაბრუნებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ა(ა)იპ „ გერმანული საერთაშორისო სკოლის“ ბიბლიოთეკის დებულება; • პროგრამა PS-BIBLIO • წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სკოლის შიგნით სართულებზე გადასაადგილებლად არის ლიფტი. სკოლის შენობაში არის რამდენიმე ადაპტირებული სველ წერტილი სსსმ პირებისთვის. ამ სველ წერტილებში დამონტაჟებულია სასიგნალო მოწყობილობა, რომლითაც შეუძლია სველ წერტილში მყოფ პირს საშველად მოუხმოს დამხმარე პირს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სულ 48 ლეპტოპია, რომლებიც, გარდა ადმინისტრაციული საჭიროებისა, გადაცემულია ყველა მასწავლებელზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურად მოწყობილი კომპიუტერული კლასი, სკოლაში არ არის. ასევე აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა კლასში დამონტაჟებულია პროექტორი. სკოლის ვებ-გვერდია https://deutscheschule.ge/ რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლას ინტერნეტ მომსახურეობას უწევს ს/ს „სილქნეტი“, ჰოსტინგი შეძენილი აქვს შპს „პროსერვისისგან’.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება; • კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, სკოლამ წარმოადგინა სკოლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დანართი N3-2 ელექტრო ტექნიკური ნაწილი, რომლიდანაც დასტურდება შენობის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით აღჭურვა. დერეფნებში დამონტაჟებულია ამ სისტემების ნაწილი-საკვამლე დეტექტორები. სკოლის დერეფნებში, საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას შემუშავებული და კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც სხვა საგანგებო სიტუაციებთან ერთად ითვალისწინებს ხანძრის შემთხვევაში რეაგირებასაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადები -ცეცხლმაქრების შეძენაზე; • „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმა დამზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. გარდა ამისა, სკოლაში სხვადასხვა ადგილას განთავსებულია მნათი ნიშნულები - საევაკუაციო გასასვლელების მითითებით. საევაკუაციო გასასვლელები შენობის ყველა ფლიგელს აქვს გარედან დამონტაჟებული ლითონის კონტრუქციული კიბეების საშუალებით. დერეფნის კარებები აღჭურვილია ე.წ. „ანტიპანიკა“ საკეტებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას არ ჰყავს ექიმი/ექთანი, სკოლის წარმომადგენლის განმარტებით არ საჭიროებენ ექიმის/ექთნის ყოლას, რადგან სკოლის ყველა თანამშრომელი, სამ წელიწადში ერთხელ გადის, „საქართველოს სამარიტელთა კავშირის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სწავლობენ დაშავებულისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების დაუყონებლივ აღმოჩენას. სკოლის შენობის ყველა დერეფანში ჩამოკიდებულია სამედიცინო დანიშნულების კოლოფები, რომელშიც განთავსებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის საშუალებები,გარდა მედიკამენტებისა, რადგან სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, ასეთი პირველადი დახმარება სკოლის სამედიცინო დახმარების მექანიზმებში არც მოიაზრება. ისინი მხოლოდ მექანიკურ საშუალებებს მოიაზრებენ, ისეთს, როგორიცაა სახვევის დადება, გადახვევა, სისხლის შეჩერება და სხვა, ის რაც აუცილებელია ექიმის მოსვლამდე. ყველა შემთხვევაში, უკავშირდებიან სასწარაფო დახმარებას და თუ სიტუაცია ეხება მოსწავლეს, მაშინ მშობელსაც. სკოლა გეგმავს სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობას. ამ მიზნით გამოყოფილია საიზოლაციო ოთახი, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო აღჭურვილობის რამოდენიმე ელემენტი მაგ. ტახტი, კარადა და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (2021 წლის 28 მაისის MES 8 21 0000494166 წერილით). წესის შესაბამისად სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვაზე პასუხისმგებელია დირექცია და სკოლის დაცვისა და უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამსახური. აღნიშნულ სამსახურთან (დაცვის სამსახური „მაგისტრი“) სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურეობის ხელშეკრულება, რომილს მოქმედების პერიოდია 2022 წლის 17 იანვარი - 2023 წლის 17 იანვარი. ამასთან, თანამშრომლები ასევე გადიან ტრენინგებს (სამ წელიწადში ერთხელ) „კატასტროფების რისკის შემცირების საბაზისო კურსს“, რომელსაც სკოლის ორგანიზებით ახორციელებს ა(ა)იპ საქრთველოს სამარიტერლთა კავშირი. სკოლა დაცულია სიგნალიზაციით. მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამრიგებელი ვალდებულია დასვენებებზე თვალყური ადევნოს კლასს. შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლის შენობაში უცხო პირთა შესვლა დაუშვებელია. მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სხვა პირების სკოლის შენობაში დაშვება ხდება მხოლოდ წინასწარი (წერილობით ან სატელეფონო) შეთანხმებით (მუხლი 3. 9.).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ,, გერმანული საერთაშორისო სკოლის “უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. • შინაგანაწესი; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. კამერების მონიტორინგს აწარმოებს დაცვის თანამშრომელი. სკოლის შენობების შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხდება 16 ვიდეოკამერის საშუალებით. ხოლო გარე პერიმეტრის 12 კამერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების შესყიდვის ზედნადებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ - ,,გერმანულ საერთაშორისო სკოლას“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს იურდიული პირის წესდება, სკოლის დებულება და შინაგანაწესი. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, და სხვა. სკოლის დებულებაში გაწერილია სკოლის მიზნები, ამოცანები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს. სკოლის შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტები: დამრიგებლის დებულება, მშობლის ინფორმირების, მშობელთან ურთიერთობის და მშობელთა საბჭოს დებულება და სხვა..
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ,, გერმანული საერთაშორისო სკოლის“ წესდება; • სკოლის შინაგანაწესი; • სკოლის დებულება; • სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმა, გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სტრატეგიული გეგმა შემუშავდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ 6-წლიანი გეგმა მოიცავს 2022-2028 წლებს ხოლო ერთწლიანი 2021-2022 წლების გეგმაა. ერთწლიანი გეგმა არ გამომდინარეობს ექვსწლიანი გეგმიდან და შესაბამისად არ არის მისი ნაწილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმა; • ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ,, გერმანული საერთაშორისო სკოლაში“, საქმისწარმოება მიმდინარეობს გერმანულ ენაზე. დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული წერილების რეგისტრაციის ჟურნალი; ბ) გასული წერილების რეგისტრაციის ჟურნალი; გ) გამგეობის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; დ) სკოლის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში (მაგ. მოსწავლის მობილობისას- პირადი საქმე) გააკეთებენ ნაწარმოები დოკუმენტაციის თარგმანს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; • გამგეობის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლას ეძლევა რჩევა გადახედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას. გრძელვადიანი დაგეგმვა განახორციელოს, მას შემდეგ, რაც დამთავრდება სამოქმედო ერთწლიანი გეგმის მოქმედება.
ხარვეზები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია 37 საშტატო ერთეული. სკოლის დირექციას წარმოადგენს სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სკოლის ადმინისტრაციას წარმოადგენს ადმინისტრაციის თანამშრომელი, სამდივნოს თანამშრომელი, ორი მამასახლისი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, და მებაღე. საშტატო განრიგით ასევე განსაზღვრულია საათობრივი ბადის შესაბამისი მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები - სულ 27 ერთეული. სკოლას ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სკოლის ტერიტორიის დაცვას, დასუფთავებას და ბუღალტრულ მომსახურებასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • მონაცემები Eschool - ის ბაზიდან; • სკოლის მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	27

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოწვეული/მაძიებელი	2/1/5/ (ზოგადი განათლების კანონის 61[2] მუხლის, მე*3 პუნქტის საფუძველზე)
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0 (8 -გერმანიიდან წარმოგზავნილი)
უფროსი მასწავლებლი	10
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლების უმეტესობა შერჩეულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დასაქმება განხორციელდა არა ქართული კანონმდებლობის დაცვით, არამედ, საზღვარგარეთ (გერმანიის) არსებული გერმანული სკოლების ცენტრალური სამმართველოს მიერ წარმოგზავნილი მასწავლებლების დასაქმებით. სკოლაში ასეთი 8 მასწავლებელია. სასურველია სკოლამ გადახედოს ერთერთ მაძიებელ მასწავლებელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებას და შეცვალოს დასაქმების პირობები კანონის შესაბამისად. აღნიშნული პედაგოგი სკოლას შერჩეული ჰყავდა კონკურსის წესების სრული დაცვით, როგორც მაძიებელი (2021 წლის 25 თებერვალი-2 მარტის კონკურსით), შესაბამისად მასთან გაფორმებული ჰქონდა მაძიებლის ხელშეკრულება. მასწავლებელმა 2 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა პროგრამის წარმატებით დაძლევა , გაუვიდა მაძიებლობისთვის განკუთვნილი ვადა და ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში ის უკვე აღარ ფიქსირდება, როგორც მაძიებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გერმანული საერთაშორისო სკოლამასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დებულება; • მასწავლებელთა პირადი საქმეები; • Eschool - ის ბაზა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი, რომლის მიხედვითაც სკოლაში საგნის ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, გერმანიიდან წარმოგზავნილი და საქართველოს მოქალაქეობის მქონე მასწავლებლებისათვის კონკურსი ტარდება განსხვავებულად (იხ. მუხლი 4). ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსის მე 4-9 მუხლებს, რომელთა მიხედვითაც აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია შრომითი ურთიერთობებისას და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში. ამავე მუხლების შესაბამისად ყოველგვარი დისკრიმინაციის შესახებ დავის არსებობისას მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება. დისკრიმინაცია აკრძალულია სკოლის შინაგანაწესითაც (იხ. მუხლი 1, პუნქტი 4). ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის კონკურსს სკოლა ატარებს პირდაპირ ღია კონკურსის სახით და არ ცხადდება შიდა კონკურსი, ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს“ (ბრძანება N174/ნ), რომლის მიხედვითაც ვაკანტური ადგილის შემთხვევაში სკოლამ ჯერ უნდა გამოაცხადოს შიდა კონკურსი და არ/ვერ შევსების შემთხვევაში უნდა გამოაცხადოს ღია კონკურსი. ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია პირდაპირ ღია კონკურსის გამოცხადება. სკოლის შინაგანაწესით ასევე განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიუხედავად იმისა, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს წახალისების სახეები და წახალისების შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი პირი - სკოლის დირექტორი, ამის საპირისპიროდ, შინაგანაწესში არ არის მოცემული დისციპლინური წარმოების შესახებ დეტალური ინფორმაცია. კერძოდ, ვინ არის დისციპლინურ გადაცდომისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო (დირექტორი, გამგეობა თუ სხვა), როგორ იწარმოება დისციპლინური დევნა თანამშრომლის მიმართ, თუმცა ის აღნიშნულია, რომ დისციპლინურ დევნის შეწყვეტა დისციპლინური გადაცდომის არ დადასტურების შემთხვევაში, დირექტორის უფლებამოსილებაა. (შინაგანაწესი, მუხლი 22).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ ,, გერმანული საერთაშორისო სკოლის " დებულება მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ; • ა(ა)იპ ,,გერმანული საერთაშორისო სკოლის შინაგანაწესი".
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის" მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის მსვლელობისას სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რომლის მიზანშიც გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა. სკოლაში პროფესიული განვითარებისთვის შემდეგი გზები არსებობს: რეგიონალური საგანმანათლებლო ღონისძიებები (ReFo); სტიპენდიები მასწავლებელთათვის (პედაგოგთა გაცვლის სამსახური PAD); შიდასასკოლო სემინარები (SchilF); მასწავლებელთა დამატებითი საქმიანობა და ანგაჟირება სკოლის განვითარებაში. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნულ ჯგუფს შემუშავებული აქვს დებულება. მასწავლებლები პერიოდულად გადიან ტრენინგებს, რომლებიც ორგანიზებულია „საზღვარგარეთ გერმანული სკოლების ცენტრალური სააგენტო“-ის მიერ. ვიზიტის პერიოდში სკოლა აქტიურად მუშაობდა დიგიტალიზაციისა და დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების დანერგვაზე. ვიზიტის პერიოდში ტრენინგების სამოქმედო გეგმებითა და ანგარიშებით, ასევე სამიზნე ჯგუფებთან ინტერვიურებით დასტურდება , რომ სკოლაში ეფექტურად ხორციელდება პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის“ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. • ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები • პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, ყოველ სართულზე მოწყობილია სამკითხველო კუთხეები, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია წაიკითხოს წიგნი. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შექმნილია შემოქმედებითი და სახელოვნებო კლუბები. ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიება. ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი, რომელიც ჩართულია სკოლის ცხოვრებაში და მისი წევრები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის ადმინისტრაციასთან სხვადასხვა სახის საკითხის გადასაწყვეტად. მშობლების კომიტეტის წევრებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ მათ შვილებს უხარიათ სკოლაში სიარული. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში პერიოდულად ტარდება გამოკითხვები. თითოეულ მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეხედულებები. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან გასაუბრებით , სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობით, სკოლის ვიზუალური დათვალიერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში“ არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიურება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	• მასწავლებელთან, რომელიც აღარ არის მაძიებელი გააფორმოს კანონის შესაბამისი ხელშეკრულება, არსებული მდგომარეობით მასწავლებელი, რადგან აღარ არის მაძიებელი, ვეღარ შეასრულებს მაძიებლისთვის განსაზღვრულ ვალდებულებებს. • საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს“ (ბრძანება N174/ნ), თანახმად ვაკანტური ადგილის შემთხვევაში სკოლამ ჯერ უნდა გამოაცხადოს შიდა კონკურსი და არ/ვერ შევსების შემთხვევაში უნდა გამოაცხადოს ღია კონკურსი.
რჩევები:	• ვაკანსიის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებსა და გერმანიის მიერ წარმოგზავნილ მოქალაქეებს ჰქონდეთ არადისკრიმინაციული პირობები. • შინაგანაწესში სკოლამ განსაზღვროს თანამშრომელთა დისციპლინური დევნის პირობები, უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დისციპლინური სახდელის გამოყენების შემთხვევაში თუ ვის ექნება სახდელის გამოყენების უფლება.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი) - ქ. თბილისი
თარიღი - 13.04.2022
გვერდების რაოდენობა - 57 გვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.